

კვილარ 3

წლიური
ანგარიში

2025

1. შესავალი

1.1. მიკრობანკის მენეჯმენტის განცხადება

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის № 110/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“, მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. მიკრობანკის დირექტორატი ადასტურებს, რომ წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით და მასში ასახული ყველა მონაცემი/ინფორმაცია სრული, ზუსტი და უტყუარია.

1.2. მიკრობანკის ისტორია, არსებული მომსახურებები და სტრატეგიული გეგმები

ბაზარზე 12-წლიანი წარმატებული ოპერირების შემდეგ, ემბისი საქართველოში პირველი მიკრობანკი გახდა. 2024 წლის 5 დეკემბერს მიღებული ლიცენზიით, კომპანიამ სათავე დაუდო ქვეყანაში ახალი ტიპის საფინანსო ინსტიტუტების განვითარებას. 2025 წელი კი ორგანიზაციისთვის ამ სტატუსის პრაქტიკული რეალიზაციის პირველი წელი გახლდათ.

ემბისი განვითარების ახალ ეტაპზე მყარი ფინანსური მაჩვენებლებით გადავიდა. 2025 წელს კომპანიის მთლიანი აქტივები 33%-ით გაიზარდა და 193.5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგების თვალსაზრისით 57%-იანი ზრდის მაჩვენებელი დააფიქსირა. ორგანიზაციის ეფექტურობას ადასტურებს კაპიტალის უკუგების (ROE) 28%-იანი მატეაბა.

საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილი 17 სერვის ცენტრითა და თითქმის 300-წევრიანი გუნდით, ემბისი წარმატებით ახორციელებს სტრატეგიულ ფოკუსს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე. კომპანია ფლობს 153 მილიონი ლარის სასესხო პორტფელს და დაარსების დღიდან 220 ათასზე მეტ მომხმარებელს მოემსახურა. აღსანიშნავია საერთაშორისო ინვესტიციებისა და პარტნიორობის რაოდენობის ზრდაც - 2025 წლის ბოლოს ემბისის უცხოურმა ინვესტიციებმა 54 მილიონ ლარს მიაღწია.

2025 წლის მიწურულს, დაფინანსების დივერსიფიკაციის კუთხით, ემბისიმ მომხმარებელს შესთავაზა ახალი პროდუქტი დეპოზიტის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე დეპოზიტების წილი მთლიან ვალდებულებებში მცირეა, 2026 წელს კომპანია ამ მიმართულების აქტიურ განვითარებას გეგმავს.

ემბისი კაპიტალის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე სანდო მოთამაშეა, რასაც Scope Rating-ის მიერ შენარჩუნებული B+ რეიტინგი და 60 მილიონი ლარის მოცულობის ობლიგაციების ემისიები ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ ემისია პროგრამის - „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა, რაც პროექტის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამასთანავე, დღეს ემბისი ერთადერთი მიკრობანკია, რომლის ინვესტორიც საქართველოს საპენსიო ფონდი გახდა, რაც ორგანიზაციის გამჭვირვალობისა და სანდოობის აღიარებაა.

ახალ სტატუსთან ერთად, 2025 წელს ემბისიმ წარმატებით განახორციელა რებრენდინგის პირველი ეტაპი - შეიქმნა ახალი ბრენდ-კოდი და ვიზუალური იდენტობა. ამასთანავე, კომპანიის სტრუქტურაში დაემატა მომხმარებლის გამოცდილების (CX) მართვის მიმართულება და სტრატეგიულ დონეზე განისაზღვრა, რომ ემბისი ადამიანებზე ცენტრირებული ორგანიზაციაა. ტრანსფორმაციის მომდევნო ეტაპი, 2026 წელს, განახლებული ბრენდ-კოდისა და ვიზუალური იდენტობის დანერგვას, ფილიალების ინტერირისა და მომსახურების კონცეფციის სრულ განახლებას ითვალისწინებს.

ციფრული ტრანსფორმაცია ემბისის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება. 2025 წელს გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ტექნოლოგიური მდგრადობისკენ - მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისთვის დაინერგა თანამედროვე კიბერტექნოლოგიები. აქტიურ ფაზაშია ონლაინ ბანკის განვითარება, რომელიც 2026 წლის ბოლოსთვის მომხმარებელს დისტანციურ მომსახურებას შესთავაზებს. 2025 წლის იანვარში დაწყებული მიმდინარე ანგარიშების გახსნის პროცესის პარალელურად, კომპანია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა საბანკო პროდუქტების დანერგვაზე.

ემბისი გახდა საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსის (BARTA 2025) გამარჯვებული. ასევე, კომპანიამ მიიღო სპეციალური ჯილდო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის მიმართულებით და იყო მენარმე ქალების პროდუქციის გამოფენის მხარდამჭერი. ემბისი აგრძელებს ESG სტანდარტების ინტეგრირებას მართვის ყველა დონეზე.

ემბისის მთავარი გამოწვევა ახალი საბანკო პროდუქტების ეფექტური დანერგვა და ციფრული ეკოსისტემის ეტაპობრივი სრულყოფა გახლავთ.

2. მიკრობანკის მფლობელობითი სტრუქტურა და კორპორაციული მართვა

2.1. მიკრობანკის აქციონერები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიკრობანკის ჩვეულებრივი აქციები გადანაწილებულია შემდეგ აქციონერთა შორის, შემდეგი წილობრივი ოდენობით:

აქციონერი	წილობრივი მონაწილეობა
გია პეტრიაშვილი	30.95%
ოთარ რუხაძე	14.05%
თენგიზი მაზიაშვილი	9.06%
ტარას ნიჟარაძე	8.04%
მურმან ამბროლაძე	7.78%
გოდერძი მელაძე	6.48%
გიორგი გოთოშია	6.48%
გიორგი ვაჩნაძე	5.34%
შპს „ჯეიბი“	2.59%
გიორგი ღვალაძე	2.59%
ეთერი ჩაჩიბაია	2.59%
ნინო დევდარიანი	2.59%
თათია ჯაჯანაშვილი	1.45%

2.2. კორპორაციული მართვა

ემბისის, როგორც მიკრობანკის, კორპორაციული მართვის სისტემა სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №112/04 ბრძანებით დამტკიცებულ „მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნებს, საერთაშორისო სტანდარტებს, პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას.

მიკრობანკის მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს:

- პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას;
- ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების სწორ დელეგირებას;
- ჯანსაღ ადმინისტრირებას;
- რისკების ეფექტიან იდენტიფიცირებას, მართვასა და ანგარიშგებას;
- ადეკვატურ შიდა კონტროლს;
- ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას;

- რისკების ეფექტიანი მართვის საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს.

მიკრობანკის მართვის სტაბილურობისა და გამართული ფუნქციონირებისთვის, მკაფიოდ არის გამიჯნული უფლებამოსილებები საზედამხედველო, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის. მმართველობითი სტრუქტურა და აღნიშნული ორგანოების ფუნქცია-მოვალეობები სრულად შეესაბამება მიკრობანკის საქმიანობის მასშტაბებსა და კომპლექსურობას.

მიკრობანკის მართვის ძირითადი ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი.

2.2.1. აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ემბისის უმაღლეს მმართველობით ორგანოს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და მიკრობანკის წესდების შესაბამისად. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს მიკრობანკის:

- წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
- აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გატანის შესახებ;
- აქციებისა და სხვა საკუთარი ფასიანი ქაღალდების გასხვისების წესების შესახებ;
- წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ;
- კაპიტალის გაზრდის/შემცირების შესახებ;
- სამართლებრივი სტატუსის ცვლილების, სხვა ორგანიზაციასთან შერწყმის ან მისი ლიკვიდაციის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს და ამტკიცებს მის (მათ შორის, საბჭოს კომიტეტების) ბიუჯეტს, გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო/ საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით, ამტკიცებს კომპანიის წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშს, ამტკიცებს „კორპორაციული ეთიკის შესახებ“ და „კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ“ კომპანიის დებულებებს და იღებს გადაწყვეტილებებს წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.

აქციონერთა საერთო კრება წარმართება აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრების და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სახით. 2025 წლის განმავლობაში ჩატარდა ერთი მორიგი და ორი რიგგარეშე კრება. გარდა ყოველწლიურად განსახილველი საკითხებისა (აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდის გადახდის საკითხის გადაწყვეტა და სხვ.), 2025 წელს აქციონერთა საერთო კრების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის და საქმიანობის მიმართულებების მიკრობანკის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ამ მიზნით, აქციონერთა კრებამ დაამტკიცა მიკრობანკის „სამეთვალყურეო საბჭოს“ დებულების განახლებული რედაქცია და აირჩია საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

აქციონერთა საერთო კრების ოქმები, საერთო კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიეწოდება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

2.2.2. სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს მიკრობანკის სტრატეგიას, ღირებულებებს, ხედვას, მისიას, ორგანიზაციულ სტრუქტურას და უზრუნველყოფს, რომ მიკრობანკის საქმიანობა წარიმართებოდეს კანონმდებლობის, მათ შორის, საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობით. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მიკრობანკის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ზედამხედველობს დირექტორატის საქმიანობას, პასუხისმგებელია მიკრობანკის კორპორაციულ მართვაზე და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს მანდატი, როლი და პასუხისმგებლობები, საქმიანობის მიმართულებები და საბჭოს წევრობასთან დაკავშირებულ შეზღუდვები განისაზღვრება მიკრობანკის „სამეთვალყურეო საბჭოს“ დებულებით და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით.

ემბისის სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან: მურმან ამბროლაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; ვალერი ჩეჩელაშვილი - უფროსი დამოუკიდებელი წევრი; სოფიო ცხვიტავა - დამოუკიდებელი წევრი. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის 33%-ს (ერთი წევრი) ქალი წარმოადგენს.

მიკრობანკი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობას განსაზღვრავს „მიკრობანკების კორპორაციული მართვის“ კოდექსით დადგენილი მოთხოვნებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობის დასადგენად მიკრობანკი თანმიმდევრულად აფასებს კანდიდატის მიერ ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას და „მიკრობანკების კორპორაციული მართვის“ კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად მიჩნევისთვის დადგენილ მოთხოვნებთან მის შესაბამისობას, კერძოდ, კანდიდატის დამოუკიდებლად მიჩნევისთვის, მიკრობანკი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

- კანდიდატს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჰქონდა ნათესაური კავშირი მიკრობანკის ან/და ჯგუფში შემავალი საწარმოების ადმინისტრატორებთან, ასევე პირ(ებ)თან, რომელიც მიკრობანკში ან/და ჯგუფში შემავალ რომელიმე საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს;
- კანდიდატი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აწარმოებს/აწარმოებდა ბიზნესს ან/და აქვს/ჰქონია სხვა სახის მატერიალური საქმიანი ურთიერთობა მიკრობანკის ან/და ჯგუფში შემავალი საწარმოების ადმინისტრატორებთან ან/და პირთან, რომელიც მიკრობანკში ან/და ჯგუფში შემავალ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს;
- კანდიდატს აქვს რაიმე სახის მატერიალური ვალდებულება (მათ შორის, ფინანსური) მიკრობანკის/მისი ადმინისტრატორების/მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის წინაშე ან/და სხვა მატერიალური/ფინანსური ინტერესი (მათ შორის, საკუთრება, ინვესტიცია) მიკრობანკში ან/და ჯგუფში შემავალ საწარმოებში (გარდა მიკრობანკის ან/და ჯგუფში შემავალი საწარმოების აქციების 2%-ზე ნაკლები წილის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფლობისა);
- კანდიდატს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჰქონდა პროფესიული ან/და სხვა სახის სამუშაო ურთიერთობა (მათ შორის, საქმიანი მომსახურების განევა) მიკრობანკთან ან/და ჯგუფში შემავალ საწარმოებთან/მის ადმინისტრატორებთან/მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერთან (აღნიშნული კრიტერიუმი არ ზღუდავს იმ შემთხვევებს, როდესაც სახეზეა არააღმასრულებელ პოზიციაზე საქმიანობა/არააღმასრულებელი ფუნქციების შესრულება);
- კანდიდატი იღებს რაიმე სახის სხვა დამატებით ანაზღაურებას მიკრობანკისგან, გარდა ფიქსირებული ანაზღაურებისა ან/და დივიდენდისა, რომელიც უკავშირდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრობას

ან/და აქციების ფლობას (მიკრობანკის აქციების 2%-ზე ნაკლები წილის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფლობა); ან

- კანდიდატს აქვს სხვა ისეთი სახის ურთიერთობა, პოზიცია ან/და კავშირი, რომელიც შესაძლოა, გავლენას ახდენდეს მის დამოუკიდებლობაზე.

სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, პირველ რიგში, ითვალისწინებს მიკრობანკის, დეპოზიტარების, აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს, რეგულარულად ხვდება დირექტორატის წევრებს, მნიშვნელოვანი რისკებისა და იმ საკითხების გამოსავლენად, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. დირექტორატთან დიალოგის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კონსტრუქციული კრიტიციზმით აფასებს დირექტორატის მიერ წარმოდგენილ ახსნებსა და ინფორმაციას.

სამეთვალყურეო საბჭო მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების მიზნით, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ მართავს სხდომებს (აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, შეხვედრების სიხშირე გაიზარდოს). 2025 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 20 (ოცი) სხდომა, რომელსაც საბჭოს ყველა წევრი სისტემატურად ესწრებოდა. 2025 წელს სამეთვალყურეო საბჭოს ძირითად ამოცანას წარმოადგენდა შიდა პოლიტიკა-პროცედურების მიკრობანკების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა, ამ მიზნით, სამეთვალყურეო საბჭომ სხდომებზე განიხილა და დაამტკიცა ოცამდე შიდა პოლიტიკა და დებულება, მათ შორის და არა მხოლოდ, მიკრობანკის განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, საოპერაციო რისკების სტრატეგია, რისკის მართვის პოლიტიკა, ანაზღაურების პოლიტიკა, აუტსორსინგის პოლიტიკა და სხვ. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები და სხდომაზე გამოყენებული სხვა დამატებითი დოკუმენტაცია სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წარედგინება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს (კომიტეტების) წევრების პროფესიული გამოცდილების შესახებ



მურმან ამბროლაძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მურმან ამბროლაძე 2014 წლიდან გახლავთ ემბისის პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2025 წლიდან კი იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას.

1993 წელს, გია პეტრიაშვილთან ერთად, დააფუძნა კომერციული ბანკი - სს "ბაზისბანკი" და წლების მანძილზე იყო მისი დირექტორი, ხოლო 2008-2012 წლებში გახლდათ სს "ბაზისბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

მურმან ამბროლაძეს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის და დოქტორის ხარისხი მათემატიკის განხრით და არის რიგი

სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. მან სამეცნიერო და პედაგოგიური კარიერა თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე დაიწყო.



ვალერი ჩეჩელაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

ვალერი ჩეჩელაშვილს დამთავრებული აქვს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით და აქვს საერთაშორისო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი.

1989 წლიდან იგი დიპლომატიური ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობდა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ეკავა სხვადასხვა თანამდებობები - მეორე მდივნიდან მინისტრის მოადგილის

პოზიციამდე. 2005 წელს ვალერი ჩეჩელაშვილი იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო 2005-2007 წლებში მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა.

1994-1998 წლებში იგი იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, ხოლო 2004-2005 წლებში რუსეთის ფედერაციაში. 2000-2004 წლებში ჩეჩელაშვილს ეკავა გენერალური მდივნის პოზიცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ხოლო 2007-2016 წლებში - გენერალური მდივნის პოზიცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში.

2000-2004 წლებში, როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, იგი მონაწილეობდა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მისი აფილირებული ორგანო) მმართველთა საბჭოს მუშაობაში. 2002-2012 წლებში იყო სს "ბაზისბანკის" აქციონერი.

2016 წლიდან ვალერი ჩეჩელაშვილი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. იგი დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლითა და ორდენით და ასევე, გახლავთ რამდენიმე ათეული პუბლიკაციის ავტორი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.



სოფიო ცხვიტავა

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე

სოფიო ცხვიტავას 2005 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის მიმართულებით, ხოლო 2007 წელს მიიღო ამავე უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

პროფესიული კარიერის ადრეულ ეტაპზე სოფიო ცხვიტავა საქმიანობდა კომპანია „მედინსერვში“, სადაც აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ბაზარზე ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებაში. 2006 წლიდან მუშაობდა „პროკრედიტ

ბანკში“ სხვადასხვა პოზიციებზე: 2007 წლიდან იკავებდა AML ოფიცრის ადგილს, ხოლო 2010 წლიდან - უფროსი AML ოფიცრის პოზიციას. 2013-2018 წლებში იყო ამავე ბანკის გამოცდილი აუდიტორი.

2018 წელს სოფიო ცხვიტავა შეუერთდა ემბისის გუნდს და 2019 წლის მარტამდე ეკავა საოპერაციო რისკების მენეჯერის თანამდებობა. 2019-2024 წლებში ცხვიტავა იკავებდა FINCA Network Support B.V-ის

ფინკა ჯგუფის შესაბამისობის ოფიცრის თანამდებობას, ხოლო 2024 წლიდან დღემდე არის ფინკა ჯგუფის შესაბამისობის უფროსი მენეჯერი.

სოფიო ცხვიტავას აქვს მრავალწლიანი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება საბანკო და მიკროსაფინანსო მიმართულებით. 2023 წლიდან დღემდე იგი აქტიურად უწევს საკონსულტაციო მომსახურებას სხვადასხვა ორგანიზაციებს.

2.2.3. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

მიკრობანკში სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ ფუნქციონირებს აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტები. კომიტეტების მანდატი, საქმიანობის მიმართულებები, სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების წესი, კომიტეტების წევრთა ინდივიდუალური როლი და პასუხისმგებლობები განისაზღვრება კომიტეტების დებულებების და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2.2.3.1. აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტის შექმნილია შიდა კონტროლთან და კორპორაციულ ანგარიშგებასთან, მათ შორის, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული პროცესების ადმინისტრირების მიზნით. კომიტეტის ძირითადი ამოცანაა მიკრობანკის გამართული, გამჭვირვალე და ეფექტიანი შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და ანგარიშგების სისტემების უზრუნველყოფა, რაც ემსახურება დაინტერესებული მხარეების ნდობის გაძლიერებას და ზედამხედველობით ფუნქციებში სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტიან მხარდაჭერას.

აუდიტის კომიტეტი ახორციელებს შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგს და უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობას. აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირება სამეთვალყურეო საბჭოს საშუალებას აძლევს მიიღოს სარწმუნო ინფორმაცია, რაც საფუძვლად უდევს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

2025 წელს ჩატარდა აუდიტის კომიტეტის 6 (ექვსი) სხდომა, რომელსაც კომიტეტის ყველა წევრი სისტემატურად ესწრებოდა. 2025 წლის განმავლობაში აუდიტის კომიტეტის მიერ სხდომებზე განხილულ ძირითად საკითხებს წარმოადგენდა: მიკრობანკის შიდა აუდიტის საქმიანობის შეჯამება, შიდა აუდიტის 2025 წლის სამუშაო გეგმის განხილვა და დამტკიცება, გარე აუდიტორული ფირმის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების და სარეკომენდაციო წერილის ანალიზი და შედეგების შეჯამება, 2025 და 2026 წლების ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად კანდიდატების (გარე აუდიტორული ფირმების) შეთავაზებების განხილვა, მათი დამოუკიდებლობის შეფასება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების მომზადება/წარდგენა, მიკრობანკის შიდა აუდიტში დაგეგმილი საკადრო ცვლილებების განხილვა და სხვ. აუდიტის კომიტეტის სხდომის ოქმები და სხდომაზე გამოყენებული სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, წარედგინება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

2.2.3.2. რისკების მართვის კომიტეტი

რისკების მართვის კომიტეტის უმთავრესი მისიაა კომპანიაში რისკზე დაფუძნებული მართვის კულტურის დამკვიდრება და რისკების მართვის ინტეგრირებული, მდგრადი და ეფექტიანი სისტემების უზრუნველყოფა.

სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერის მიზნით, კომიტეტი ზედამხედველობს და აფასებს შემდეგ საკვანძო ასპექტებს: ორგანიზაციის რისკ-აპეტიტის განსაზღვრა, რისკის მართვის მარეგულირებელი პოლიტიკების, სტანდარტებისა და პროცედურების სტრუქტურული გამართულობა და ადეკვატურობა, კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების ეფექტიანობა, საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, რეპუტაციული, ESG და სხვა სახის რისკების ეფექტიანი მართვის პროცესები, რისკებთან დაკავშირებული

ანგარიშგების სისტემის გამართულობა, მათ შორის, პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესი და ESG საკითხების ანგარიშგების მონიტორინგი.

2025 წელს ჩატარდა რისკების მართვის კომიტეტის 4 (ოთხი) სხდომა, რომელსაც კომიტეტის ყველა წევრი სისტემატურად ესწრებოდა. 2025 წლის განმავლობაში რისკების მართვის კომიტეტის მიერ განხილულ ძირითად საკითხებს წარმოადგენდა: მიკრობანკის რისკის პროფილისა და რისკის კულტურის მიმოხილვა, მიკრობანკის რისკების პოლიტიკის შესაბამისად, რისკის აპეტიტთან შესაბამისობის ანგარიშის განხილვა, საოპერაციო რისკების განყოფილების საქმიანობისა და რისკების დეპარტამენტში დაგეგმილი საკადრო ცვლილებების შეფასება. რისკების მართვის კომიტეტის სხდომის ოქმები და სხდომაზე გამოყენებული სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, წარედგინება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

სამეთვალყურეო საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი კომიტეტების წლიური შეფასება

მიკრობანკების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, ახორციელებს თვითშეფასებას, ხოლო, სულ მცირე, სამ წელიწადში ერთხელ, სამეთვალყურეო საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი კომიტეტების მუშაობა ფასდება დამოუკიდებელი გარე შემფასებლის ჩართულობით.

ვინაიდან, კომპანიამ 2024 წლის 5 დეკემბერს მიიღო მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია, სამეთვალყურეო საბჭოსა და საბჭოს დონეზე შექმნილი კომიტეტების წლიური (2025 წლის) თვითშეფასება 2026 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა.

სამეთვალყურეო საბჭოსა და საბჭოს დონეზე შექმნილი კომიტეტების თვითშეფასების კითხვარი მოიცავდა შემდეგ საკვანძო საკითხებს:

1. საბჭოსა და კომიტეტების შემადგენლობის, სტრუქტურისა და კოორდინაციის შეფასება;
2. საბჭოსა და კომიტეტის წევრების საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
3. საბჭოსა და კომიტეტების შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტიანობის შეფასება.

თვითშეფასების შედეგად, საბჭოსა და კომიტეტების შემადგენლობა, სტრუქტურა, კოორდინაცია და საბჭოსა და კომიტეტების წევრების საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა დადებითად შეფასდა, ხოლო საბჭოსა და კომიტეტების შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტიანობა - მისაღებ დონეზე.

თვითშეფასებამ გამოავლინა გაუმჯობესების საჭიროება მიკრობანკის ანონიმური მხილების სისტემაზე სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობის გაძლიერების, შესაბამისობის ფუნქციასთან კოორდინირებული თანამშრომლობისა და ანგარიშგების პროცესის ფორმალიზების, მიკრობანკის შიდა პოლიტიკა-პროცედურების გადახედვისა და ანგარიშგვალდებულების მექანიზმების სისტემატიზაციის მიმართულებით. მიკრობანკი გაითვალისწინებს თვითშეფასების შედეგად გამოვლენილ იმ მიმართულებებს, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ და მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების შემუშავებისას, უზრუნველყოფს შემხვედრი ღონისძიებების დაგეგმვასა და შიდაორგანიზაციულ დონეზე იმპლემენტაციას.

2.2.4. დირექტორატი

ემბისის ყოველდღიურ ოპერაციულ მართვას ხელმძღვანელობს დირექტორატი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიული მიზნების წარმატებით განხორციელებაზე. დირექტორატი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ირჩევს დირექტორატის შემადგენლობას.

სხვა საკვანძო ფუნქციებთან ერთად, დირექტორატი უზრუნველყოფს კომპანიის ბიზნეს სტრატეგიების აღსრულებას, ემნის და ამკვიდრებს ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტიან სისტემებსა და რისკის კულტურას, ზედამხედველობს ბიზნეს პროცესებსა და შიდა კონტროლს, გარდა ამისა, დირექტორატი პასუხისმგებელია მიკრობანკის თანამშრომელთა ფუნქციური მოვალეობების განაწილებაზე და ეფექტიანი მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს.

მიკრობანკის დირექტორატი შედგება ოთხი წევრისგან - გენერალური დირექტორი, კომერციული დირექტორი, საოპერაციო დირექტორი და რისკების დირექტორი. დირექტორატის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობა, მიკრობანკის წესდებისა და დირექტორატის დებულების შესაბამისად.

ემბისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მმართველობით ორგანოებში მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსის დაცვას, რაც გამოიხატება მმართველობითი ორგანოების განსხვავებული უნარ-ჩვევების, სქესის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მექნე პირთა დაკომპლექტებით. დირექტორატის შემადგენლობის 50% განსხვავებული სქესის წარმომადგენლით არის დაკომპლექტებული.

ინფორმაცია დირექტორატის წევრების პროფესიული გამოცდილების შესახებ



გია პეტრიაშვილი

გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილმა, საბანკო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, 2012 წელს დააფუძნა კომპანია ემბისი და დაარსების დღიდან იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას.

1993 წლიდან გია პეტრიაშვილი გახლდათ სს "ბაზისბანკის" დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ხოლო 1998-2012 წლებში იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1999 წლიდან იგი საქმიანობდა OPIC-ის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ფონდში - "კავკასიის ფონდი", 1999-2002 წლებში კი, გახლდათ LLC Caucasus Advisors-ის თბილისის ოფისის დირექტორი.

2002-2005 წლებში გია პეტრიაშვილი იყო შპს "გასართობი ცენტრი მეიდანის" დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი. 2006-2009 წლებში კი დააფუძნა და ხელმძღვანელობდა უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიას - შპს "სოლო-ლაკი ინვესტორს".

გია პეტრიაშვილს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხი თეორიული და მათემატიკური ფიზიკის განხრით. სამეცნიერო კარიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევრის პოზიციაზე დაიწყო. ასევე იყო მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი.



გიორგი ღვალაძე

კომერციული დირექტორი

გიორგი ღვალაძე ემბისის გაყიდვების დეპარტამენტს 2013 წლიდან ხელმძღვანელობს. მას საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2005 წელს კარიერა დაიწყო "ბანკ კონსტანტაში" - დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე, მოგვიანებით კი ფილიალის მმართველის, მინი და მინი-აგრო მიმართულებების ხელმძღვანელის პოზიციები ეკავა.

გიორგი ღვალაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკის განხრით. 2006 წელს მას კავკასიის აკადემიურ ცენტრში (CAC) ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

(MBA) მიენიჭა, 2014 წლიდან დოქტორანტია



ეთერი ჩაჩიბაია

საოპერაციო დირექტორი

2013 წლიდან ეთერ ჩაჩიბაია ემბისის გუნდის წევრია. მისი, როგორც ოპერაციების დირექტორის საკურატორო სფეროში შედის შემდეგი მიმართულებები: ცენტრალიზებული ბექ-ოფისი, სატელეფონო და დისტანციური მომსახურება, მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა, პიარი და კორპორაციული მდგრადობა, ლოგისტიკა და შესყიდვები, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მომხმარებელთა გამოცდილების მართვის მიმართულებები.

მრავალი წლის განმავლობაში ეთერ ჩაჩიბაია დასაქმებული იყო სს "ბაზისბანკსა" და "HSBC-ბანკ საქართველოში" - საოპერაციო, საცალო და კორპორაციული მომსახურებების მიმართულებით. გარდა ამისა,

სხვადასხვა დროს იგი საქმიანობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში და არასამთავრობო სექტორში. ეთერ ჩაჩიბაია აქვს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.



ნინო დევდარიანი

რისკების დირექტორი

ნინო დევდარიანი ემბისიში რისკების დირექტორის პოზიციას 2016 წლიდან იკავებს და ხელმძღვანელობს როგორც საკრედიტო და საოპერაციო რისკების, ასევე AML (ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა) და იურიდიულ განყოფილებებს, ფინანსური ანგარიშგების, ინვესტირებთან ურთიერთობის, პრობლემური აქტივების მართვისა და უძრავი ქონების შეფასების მიმართულებებს.

2008-2013 წლებში იგი საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა საერთაშორისო რეზერვების რისკების მართვისა და კონტროლის განხრით, 2014-2016 წლებში კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში

საქმიანობდა სახელმწიფო ვალის რისკების მართვის მიმართულებით.

ნინო დევდარიანს აქვს Williams College-ის (აშშ) მაგისტრის ხარისხი (2014) და არის მსოფლიო ბანკის სტიპენდიანი.

3. რისკების მართვა

რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები

რისკების მართვის პროცესში ჩაბმულია ემბისის ყველა თანამშრომელი, რაც რისკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ხელს უწყობს კომპანიის კორპორაციულ მდგრადობას. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მისი ინდივიდუალური როლი და პასუხისმგებლობა რისკების მართვის ნაწილში, რაც პროცესების ეფექტიანობას უზრუნველყოფს. რისკების მართვის სისტემა თანხვედრაშია მიკრობანკის სტრატეგიასთან და ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. რისკების მართვის პროცესში მკაფიოდ არის განაწილებული უმაღლესი მენეჯმენტის როლი და ინდივიდუალური პასუხისმგებლობები, რაც ხელს უწყობს მიკრობანკის სტრატეგიული მიზნების სიცხადესა და მათ შესაბამისობას მიკრობანკის რისკის აპეტიტთან.

- სამეთვალყურეო საბჭო რისკების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს, რომელიც კომპანიის სტრატეგიას განსაზღვრავს და მასში განერილი მიზნების შესრულებას უწევს ზედამხედველობას. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების კულტურის საუკეთესო პრაქტიკის ნახალისებაზე და თანამშრომელთა შორის ეფექტური კომუნიკაციის, კონსტრუქციული დისკუსიისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის უზრუნველყოფაზე.
- აუდიტის კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი, სხვა ფუნქციებთან ერთად, პასუხისმგებელია:
 - განსაზღვროს შიდა კონტროლის საკითხებთან მიმართებით მიკრობანკის მიდგომები;
 - მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს და დაამტკიცოს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებები;
 - მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს მიკრობანკის შიდა და გარე აუდიტორებთან;
 - მონიტორინგი გაუწიოს მიკრობანკის სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
 - განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები მიკრობანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და სტრუქტურის თაობაზე;
 - მონიტორინგი გაუწიოს პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესს, მათ შორის, ESG საკითხების ანგარიშგებას.
- რისკების მართვის კომიტეტი. 2024 წლის დეკემბერში, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებასთან ერთად, კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შეიქმნა რისკების მართვის კომიტეტი. კომიტეტმა, რისკების მართვის მიმართულებით, შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქცია-მოვალეობები შეითავსა:
 - განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, მიკრობანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
 - ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას მიკრობანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს მიკრობანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, ყოველწლიურად;
 - მონიტორინგს უწევს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან მიკრობანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
 - თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას;

- რეკომენდაციას აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
 - მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა: საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა;
 - განიხილავს სხვადასხვა შესაძლო სცენარს, მათ შორის, სტრესსცენარებს, რათა შეაფასოს სხვადასხვა გარე და შიდა მოვლენის გავლენა მიკრობანკის რისკის პროფილზე;
 - მონიტორინგს უწევს კლიენტებისთვის შეთავაზებული მატერიალური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების, მათ შორის, მათი ფასების შესაბამისობას კომპანიის ბიზნესმოდელთან და რისკის სტრატეგიასთან;
 - აფასებს შიდა და გარე აუდიტორის რეკომენდაციებს და აუდიტის კომიტეტთან თანამშრომლობით, მონიტორინგს უწევს შესაბამისი ზომების განხორციელებას;
 - მონიტორინგს უწევს პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესს (მათ შორის, ESG საკითხების ანგარიშგებას) და პასუხისმგებელია მის დამტკიცებაზე.
- დირექტორატი პასუხისმგებელია ბიზნესსტრატეგიების აღსრულებაზე, რისკების მართვის ეფექტური სისტემების შექმნაზე, მიკრობანკის რისკის კულტურის, პროცესებისა და კონტროლების შემუშავებასა და იმპლემენტაციაზე, წინამდებარე ამოცანების განსახორციელებლად, სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და ანგარიშგებაზე, მიკრობანკის თანამშრომელთა ფუნქციამოვალეობების გადანაწილებაზე და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც მიკრობანკის შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. რისკების მართვის სისტემების, პოლიტიკა/პროცედურების, რაოდენობრივი მოდელების შემუშავებისა და ანგარიშგების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რისკების დირექტორი, რომელიც აქტიურად ახორციელებს მიკრობანკის არსებული რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მონიტორინგს, კონტროლსა და რეგულარულ ანგარიშგებას სამეთვალყურეო საბჭოსთან, რისკების მართვის კომიტეტთან და დირექტორატის სხვა წევრებთან.

პროდუქტების განვითარების კომიტეტი

მომხმარებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე მაქსიმალურად მორგებული საკრედიტო/არასაკრედიტო პროდუქტებისა და სერვისების შემუშავების მიზნით, მიკრობანკში შექმნილია პროდუქტების განვითარების კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია კომერციული, მარკეტინგის, რისკების, ხაზინისა და მომხმარებელთა გამოცდილების მართვის მიმართულებების ხელმძღვანელებისგან. პროდუქტების განვითარების კომიტეტი ანგარიშვალდებულია დირექტორატის წინაშე.

პროდუქტების განვითარების კომიტეტის საქმიანობა ქმნის მყარ საფუძველს იმისათვის, რომ ახალი ინიციატივა თუ თითოეული მოქმედი პროდუქტი სრულად შეესაბამებოდეს მარეგულირებელ მოთხოვნებს და პასუხობდეს მომხმარებელთა პრეფერენციებს და მოლოდინებს.

პროდუქტების განვითარების კომიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს შორისაა:

- ბაზრის ტენდენციებისა და მომხმარებელთა საჭიროებების სიღრმისეული კვლევა პროდუქტის დანერგვის ეტაპამდე;
- პროდუქტებისა და სერვისების ძირითადი მახასიათებლების ისეთი ფორმირება, რაც უზრუნველყოფს სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და პროცესების მაქსიმალურ გამარტივებას;
- ფასწარმოების დაბალანსებული და ბაზარზე კონკურენტული ჩარჩოს შემუშავება;

- პროდუქტების რეალიზაციის ტექნიკური შესაძლებლობების განსაზღვრა მომხმარებლისთვის მოსახერხებელი, დისტანციური მომსახურების მისაღებად.

2025 წელს პროდუქტების განვითარების კომიტეტის საქმიანობა შემდეგ საკვანძო მიმართულებებზე იყო ფოკუსირებული:

- მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში, კომიტეტმა შეიმუშავა სადეპოზიტო და საოპერაციო პროდუქტების სრულიად ახალი ჩარჩო. პრიორიტეტად განისაზღვრა ანაბრების, მიმდინარე ანგარიშებისა და სადებეტო ბარათების მაქსიმალური მოქნილობა, რაც მომხმარებელს დაზოგვისა და ანგარიშსწორების თანამედროვე, გამარტივებულ გზებს შესთავაზებს;
- მიკრობანკის ლიცენზიის მიღებამ კომპანიას მისცა სესხის ლიმიტების მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობა, რამაც დღის წესრიგში არსებული საკრედიტო თუ არასაკრედიტო პროდუქტების ტრანსფორმაცია დააყენა;
- კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს არსებული პროდუქტების გადახედვას მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ბაზრის აქტუალობის მიხედვით. ეს პროცესი უზრუნველყოფს პირობების მუდმივ მოდიფიცირებას რეალური საჭიროებების შესაბამისად, რაც საფუძვლად უდევს პროდუქტების ეფექტიანობასა და მომსახურების მაღალ სტანდარტს.

პროდუქტების განვითარების კომიტეტი აქტიურად განაგრძობს მომხმარებლების კმაყოფილებაზე მორგებული ეკოსისტემის განვითარებაზე ზრუნვას და სტრატეგიული ინიციატივების იმპლემენტაციას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი

მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში, ემბისის ბიზნეს სტრატეგიის ტექნოლოგიური მხარდაჭერა საკვანძო როლს ასრულებს. სწორედ ამ მიზნით, 2025 წელს შეიქმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი, რომელიც ანგარიშვალდებულება დირექტორატის წინაშე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი არის კოლევიალური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებას მიკრობანკში დანერგილი სხვადასხვა პროდუქტის/მომსახურების ტექნოლოგიური გაუმჯობესებისა და ავტომატიზაციის გზით. კომიტეტი იმგვარად არის დაკომპლექტებული, რომ ტექნოლოგიური პროცესის დანერგვა/გაუმჯობესებისა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ბიზნეს პროცესების უწყვეტობა, უსაფრთხოება და მომხმარებლის (მათ შორის, მიკრობანკის თანამშრომლების) გამოცდილების გაუმჯობესება.

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის შემუშავება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიისა და ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ბიზნეს დავალებების ტექნოლოგიური ანალიზი;
- ინფორმაციულ ტექნოლოგიური პროექტების მომზადება და პრიორიტეტიზაცია;
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიური ინიციატივების მხარდაჭერა;
- მიკრობანკის ციფრული ტრანსფორმაციისა და პროცესების ავტომატიზაციის ხელშეწყობა;
- მიკრობანკის ტექნოლოგიური უსაფრთხოება.

2025 წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტის საქმიანობა შემდეგ საკვანძო მიმართულებებზე იყო ფოკუსირებული:

- ინფრასტრუქტურული განახლებები - მიკრობანკის ძირითადი ინფრასტრუქტურა განთავსდა მაღალი დაცულობისა და ხელმისაწვდომობის მქონე დატა ცენტრში;
- ძირითადი საბანკო სისტემების განახლება - მიკრობანკის საბანკო სისტემები განახლდა და შეიქმნა ავტომატიზებული პროცესები;

- უსაფრთხოების სისტემები - მიკრობანკის შიდა უსაფრთხოების სისტემები განახლდა და დაფარა სხვადასხვა ბიზნეს პროცესების შედეგად წარმოშობილი გამოწვევები;
- შესაბამისობის აუდიტი - მიკრობანკში ჩატარდა რეგულატორულ ჩარჩოსთან შესაბამისობის სხვადასხვა სახის აუდიტი და აღმოიფხვრა მაღალი კრიტიკულობის მიგნებები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების კომიტეტი კვლავაც აქტიურად განაგრძობს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი პროცესების კოორდინაციას. 2026 წლიდან მომხმარებლებს შეეძლება მიიღონ მათზე მორგებული გადაწყვეტილებები, ნაწილობრივ ან/და სრულად ავტომატიზებული ბიზნეს პროცესები, უსაფრთხოების კიდევ უფრო მაღალი სტანდარტები, ინოვაციური ციფრული საბანკო სერვისები და საგადაამხდლო არხები.

რისკების მართვა

მიკრობანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება ყველა ის არსებითი რისკი, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციულ სტაბილურობასა და რეპუტაციაზე. რისკების იდენტიფიკაცია და მართვა ხორციელდება ერთიანი რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში.

მიკრობანკი მართავს შემდეგ ძირითად რისკებს:

საკრედიტო რისკი

ბანკის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკი წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ძირითად რისკს. იგი გულისხმობს ფინანსური ტრანზაქციის ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კონტრაგენტისათვის ფინანსური ზარალის მიყენების რისკს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიქმნება ბანკის საკრედიტო ოპერაციების, ასევე პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ფინანსური ტრანზაქციების შედეგად, რაც განაპირობებს ფინანსური აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების წარმოშობას. ცხადია, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს როგორც ბანკებისთვის, ისე საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისთვის. ბანკის საკრედიტო სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის ფორმირება, ამასთანავე მისი მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნება.

საოპერაციო რისკი

დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა არასათანადო ან წარუმატებელი შიდა პროცესების, ადამიანური შეცდომების, სისტემური ხარვეზების ან გარე მოვლენების შედეგად. ის ასევე მოიცავს თაღლითობის რისკებს, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების რისკებს. მიკრობანკი მუდმივად ახორციელებს ისეთი საოპერაციო რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და დოკუმენტირებას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სტრატეგიული მიზნებისა და საქმიანობის შესრულებაზე. საოპერაციო რისკების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად მიკრობანკში შემუშავდა RCSA მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სისუსტეები ადრეულ გამოვლენასა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას.

შესაბამისობის რისკი

ფინანსური, სამართლებრივი ან რეპუტაციული ზიანის რისკი, რომელიც გამოწვეულია მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების ან/და შიდა პოლიტიკებით დადგენილი სტანდარტების დარღვევით. აღნიშნული რისკი, მათ შორის მოიცავს AML/CFT რისკებს, მომხმარებელთა დაცვის მოთხოვნებს, ანგარიშებისა და გამჭვირვალობის რისკს. მიკრობანკში შესაბამისობის რისკის მართვა დაფუძნებულია დაცვის სამხაზიან მოდელზე. შესაბამისობის ფუნქცია წარმოადგენს დაცვის მეორე ხაზის მნიშვნელოვან კომპონენტს და უზრუნველყოფს მიკრობანკის საქმიანობის შესაბამისობას როგორც შიდა, ისე მარეგულირებელ მოთხოვნებთან. მიკრობანკში შესაბამისობის რისკის მართვა ამცირებს სამართლებრივ და ფინანსური ზარალის ალბათობას და უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას.

ფინანსური დანაშაულის რისკი

მიკრობანკისათვის ფინანსური, სამართლებრივი და რეპუტაციული ზიანის წარმოშობის რისკი, რომელიც უკავშირდება მიკრობანკის პროდუქტების, სერვისების, არხებისა და სისტემების გამოყენებას ფულის გათეთრების (Money Laundering), ტერორიზმის დაფინანსების (Terrorist Financing) ან სხვა ფინანსური დანაშაულების მიზნებისთვის. აღნიშნული რისკი განიხილება შესაბამისობის რისკის მნიშვნელოვან კომპონენტად და წარმოადგენს ერთ-ერთ კრიტიკულ რისკს, რომლის არასათანადო მართვამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სანქციები, ლიცენზიის შეზღუდვა ან რეპუტაციული ზიანი. მიკრობანკში ML/TF რისკების შეფასება ხორციელდება რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, რომელიც მათ შორის მოიცავს კლიენტისათვის რისკის მინიჭებას, ტრანზაქციების მონიტორინგს, სანქციების სქრინინგს, საექვო ოპერაციების იდენტიფიკაციასა და ანგარიშგებას, რეგულარულ AML რისკის შეფასებას.

კიბერრისკი

წარმოიქმნება დანაკარგის, ოპერაციული შეფერხების, მონაცემთა გაჟონვის ან რეპუტაციული ზიანის წარმოშობის რისკს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციული სისტემების, ქსელების, მონაცემთა ბაზებისა და ციფრული არხების წინააღმდეგ მიმართულ კიბერ შეტევებთან ან შიდა ტექნოლოგიურ ხარვეზებთან. მიკრობანკში კიბერრისკების შეფასება ხორციელდება სისტემური და უწყვეტი პროცესის ფარგლებში, ხოლო მართვა ეფუძნება უსაფრთხოების თანამედროვე და მარეგულირებელ სტანდარტებს. კიბერრისკი ინტეგრირებული არის საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩოში და წარმოადგენს დაცვის შესამე ხაზის მოდელის ყველა დონეზე მნიშვნელოვან კომპონენტს.

ლიკვიდობის რისკი

წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურაში არსებული შეუსაბამობებიდან. აღნიშნული შეუსაბამობა ქმნის რისკს იმისა, რომ მოზიდული სახსრების დაფარვის ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულების მომენტში მიკრობანკს არ აღმოაჩნდეს საკმარისი ლიკვიდური რესურსები. მიკრობანკში ლიკვიდობის რისკის მართვა მოიცავს ფულადი ნაკადების პროგნოზირებას, ლიკვიდური აქტივების ადეკვატური დონის შენარჩუნებას და საგანგებო დაფინანსების გეგმას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვალებადობის შედეგად, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების მერყეობით. იგი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთების რისკს და სხვა საფასო რისკებს. საბაზრო რისკი გენერირდება ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებით, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ბაზარზე არსებულ ზოგად და სპეციფიკურ ცვლილებებთან, ისე საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

მიკრობანკი სრულად აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივებისა და ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული შესაძლო დანაკარგების რისკს. სავალუტო რისკთან მიმართებაში მიკრობანკის სტრატეგია არ ჩაერთოს სპეკულაციურ ოპერაციებში ღია სავალუტო პოზიციების მეშვეობით. მიკრობანკისთვის სავალუტო რისკის ეფექტიანი მართვა უზრუნველყოფს კაპიტალის დაცულობის, ფინანსური სტაბილურობისა და კურსის მერყეობით გამოწვეული პოტენციური დანაკარგების მინიმიზაციას.

საპროცენტო რისკი

მიკრობანკისათვის დამახასიათებელია ტრადიციული საბანკო საქმიანობით განპირობებული საპროცენტო რისკი, რომელიც უკავშირდება აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ვადიანობის შეუსაბამობებით გამოწვეულ გადაფასების რისკებს, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი გავლენა მოახდინოს შემოსავალსა და კაპიტალზე. საპროცენტო რისკის ეფექტიანი მართვა კრიტიკულია მიკრობანკის მომგებიანობის სტაბილურობისა და კაპიტალის დაცულობის უზრუნველსაყოფად.

მაკროეკონომიკური რისკი

მაკროეკონომიკური რისკი წარმოადგენს მიკრობანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, კაპიტალის ადეკვატურობაზე და ოპერაციულ შედეგებზე უარყოფითი გავლენის რისკს, რომელიც გამოწვეულია მაკროეკონომიკური გარემოს ცვლილებით. აღნიშნული რისკი ასახავს გარე ფაქტორებს, რომლებიც ბანკის პირდაპირი კონტროლის ფარგლებს გარეთაა, თუმცა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის რისკ-პროფილზე.

ESG რისკი

ESG რისკები წარმოადგენს მიკრობანკისათვის ფინანსური, ოპერაციული და რეპუტაციული ზიანის წარმოშობის რისკს, რომელიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით (Environmental), სოციალურ (Social) და მმართველობით (Governance) ფაქტორებთან. მიკრობანკს საკუთარი საქმიანობით შესაძლოა პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა ჰქონდეს საზოგადოებასა და გარემოზე, სადაც ის ოპერირებს. შესაბამისად, აქვს სოციალური და გარემოსდაცვითი რისკები, ასევე, დაკრედიტების პროცესში მიკრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების საქმიანობით გარემოზე ან ადამიანებზე მიყენებული შესაძლო ზიანის რისკი.

რისკების მართვის ჩარჩო

რისკების მართვის კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მიკრობანკში რისკების მართვის ჩარჩოს დამოუკიდებელ ზედამხედველობასა და ეფექტიანობის შეფასებას. კომიტეტის ძირითადი როლია უზრუნველყოს, რომ მიკრობანკის მიერ აღებული რისკები შეესაბამებოდეს განსაზღვრულ რისკის აპეტიტს, სტრატეგიულ მიზნებსა და კაპიტალის შესაძლებლობებს, როლო რისკების მართვის სისტემა იყოს ადეკვატური, ეფექტიანი და სრულად ინტეგრირებული მიკრობანკის საქმიანობაში.

რისკების მართვის კომიტეტის მიზანია:

- რისკების მართვის სისტემის სტრატეგიული ზედამხედველობა;
- მიკრობანკის რისკის აპეტიტის განსაზღვრისა და შესრულების კონტროლის მხარდაჭერა;
- რისკების მართვის ჩარჩოს ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
- კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- მნიშვნელოვანი რისკების დროული იდენტიფიკაციისა და ესკალაციის უზრუნველყოფა;
- რისკების კულტურის გაძლიერება ორგანიზაციის ყველა დონეზე.

რისკების მართვის კომიტეტი მიკრობანკის მართვის სისტემაში წარმოადგენს კრიტიკულ რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, ობიექტურ ხედვას რისკების მართვაზე და ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს დროულ, სრულ და სანდო ინფორმირებას მიკრობანკის რისკების შესახებ.

რისკის მართვის კომიტეტის ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

- რისკის აპეტიტის ჩარჩოს განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა;
- რისკის აპეტიტის ბანკის სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობის შეფასება;
- რისკების მართვის პოლიტიკის, პროცედურებისა და მეთოდოლოგიების რეგულარული გადახედვა;
- კაპიტალის ადეკვატურობისა და ბუფერების შეფასება რისკების პროფილის გათვალისწინებით;
- საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო და შესაბამისობის რისკების რეგულარული განხილვა;
- პორტფელის ხარისხის, კონცენტრაციების და რისკის ტენდენციების ანალიზი;
- მნიშვნელოვანი რისკების კონცენტრაციების იდენტიფიკაცია და კონტროლი;
- დაცვის სამი ხაზის მოდელის ეფექტიანობის შეფასება;
- შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის ზედამხედველობა;
- მნიშვნელოვანი კონტროლის სისუსტეების განხილვა და გამოსასწორებელი ღონისძიებების მონიტორინგი;
- მნიშვნელოვანი რისკის ინციდენტებისა და დანაკარგების განხილვა;
- ძირითადი მიზეზების ანალიზის შეფასება;
- პრევენციული და შემსუბუქებელი ღონისძიებების მონიტორინგი;
- რისკების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგების განხილვა;

- სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების მომზადება;
- საჭიროების შემთხვევაში რეგულატორთან კომუნიკაციის მხარდაჭერა.



დაცვის სამი ხაზის სტრუქტურა

რისკების ეფექტიანი მართვის და კონტროლის უზრუნველსაყოფად, ბანკი იყენებს დაცვის სამი ხაზის მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის ნათელ გამიჯვნას და ეფექტურ ზედამხედველობას.

რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები

მიკრობანკის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ფინანსურ და არაფინანსურ რისკებთან, რომელთა ეფექტიანი იდენტიფიკაცია, შეფასება, მონიტორინგი და მართვა წარმოადგენს მიკრობანკის სტრატეგიისა და კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ნაწილს. მიკრობანკი მოქმედებს წინასწარ განსაზღვრული რისკის აპეტიტის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებული არის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მისი გადახედვა და განახლება ხორციელდება რეგულარულად.

მიკრობანკში დანერგილია რისკების მართვის ინტეგრირებული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკის იდენტიფიკაციას, შეფასებას, მონიტორინგსა და ეფექტიან მართვას. აღნიშნული ჩარჩო ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პრინციპებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

მიკრობანკის რისკების მართვის სისტემის ძირითადი მიზნებია:

- ბანკის ფინანსური მდგრადობისა და კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა;
- პოტენციური ფინანსური და არაფინანსური დანაკარგების მინიმიზაცია;
- ბიზნესის ზრდის მხარდაჭერა კონტროლირებადი რისკის ფარგლებში;
- შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და გაძლიერება;

- მარეგულირებელ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- რისკების ადრეული იდენტიფიკაცია და პრევენციული მართვა;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რისკზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა.

მიკრობანკი რისკების მართვის პროცესში იყენებს როგორც რაოდენობრივი, ისე - ხარისხობრივი შეფასების მეთოდებს.

რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით გამოიყენება სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომები, რომელიც მოიცავს:

- იდენტიფიკაციას - ახალი და არსებული რისკების დროულ გამოვლენას;
- შეფასებას - რისკების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს;
- მითიგაციას - შესაბამისი კონტროლებისა და ლიმიტების დანერგვას;
- მონიტორინგს - რისკების დინამიკისა და ლიმიტების დაცულობის მუდმივ კონტროლს;
- ანგარიშგებას - რისკების შესახებ რეგულარული და დროული ინფორმაციის მიწოდებას მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის.

რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელოვან საფუძველს მიკრობანკში ქმნის „დაცვის სამი ხაზის მოდელი“, რომელიც წარმოადგენს შიდა კონტროლის საერთაშორისოდ აღიარებულ სტრუქტურას და უზრუნველყოფს ორგანიზაციაში პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, კონტროლისა და დამოუკიდებელი ზედამხედველობის გაძლიერებას. აღნიშნული მოდელის დანერგვით მიკრობანკში უზრუნველყოფილია რისკების მართვის ფუნქციის პასუხისმგებლობის გადანაწილება სხვადასხვა დონეზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც ოპერაციულ, ისე ფინანსურ და შესაბამისობის რისკებს. უზრუნველყოფს ბიზნესის სტაბილურობას, რისკების კონტროლს და გრძელვადიან სტაბილურ განვითარებას.

მიკრობანკში „დაცვის სამი ხაზის“ მოდელის ძირითადი მიზნებია:

- რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ორგანიზაციაში რისკის მფლობელობის კულტურის ჩამოყალიბება;
- შიდა კონტროლის სისტემის გაძლიერება და კონტროლის ხარვეზების დროული გამოვლენა;
- დამოუკიდებელი ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვა;
- მიკრობანკის სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერა კონტროლირებადი რისკის ფარგლებში;
- ფინანსური დანაკარგების პრევენცია და მინიმიზაცია.

დაცვის პირველი ხაზი (ბიზნეს ერთეულები):

დაცვის პირველი ხაზი არის რისკის მფლობელი და პასუხისმგებელი არის რისკის ყოველდღიურ მართვაზე. ის მოიცავს ყველა ბიზნეს და ოპერაციულ ერთეულს, რომლებიც უშუალოდ წარმოქმნიან და მართავენ რისკს ყოველდღიურ საქმიანობაში.

დაცვის პირველი ხაზის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში რისკების იდენტიფიკაციას, დადგენილი მეთოდოლოგიის ფარგლებში რისკების შეფასებას, პირველადი კონტროლების დანერგვასა და შესრულებას, დადგენილი ლიმიტებისა და პოლიტიკა-პროცედურების დაცვას, ინციდენტების დაფიქსირებას, RCSA პროცესში მონაწილეობას, ძირითადი რისკ ინდიკატორების პირველად მონიტორინგს, ახალი პროდუქტებისა და პროცესების რისკების პირველად შეფასებას.

დაცვის მეორე ხაზი (რისკებისა და შესაბამისობის ფუნქცია):

დაცვის მეორე ხაზი უზრუნველყოფს, რომ მიკრობანკში რისკების მართვა ხორციელდებოდეს დადგენილი რისკის აპეტიტის ფარგლებსა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. ის უზრუნველყოფს რისკების მართვის ჩარჩოს განვითარებას, მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასა და პირველი ხაზის დამოუკიდებელ ზედამხედველობას.

დაცვის მეორე ხაზის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას და განახლებას, რისკის აპეტიტის ფორმალიზაციასა და მონიტორინგს,

რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრას, ლიმიტების შემუშავებასა და მათი დაცვის კონტროლს, დაცვის პირველი ხაზის დამოუკიდებელ მონიტორინგსა და კონტროლს, რისკების ანგარიშგებების მომზადებას და მენეჯმენტისათვის/კომიტეტისათვის წარდგენას, რეგულაციებთან შესაბამისობის მონიტორინგ, ახალი პროდუქტებისა და პროცესების დამოუკიდებელ რისკ შეფასებას, მიკრობანკში რისკების კულტურის განვითარებას.

დაცვის მესამე ხაზი (შიდა აუდიტი):

მიკრობანკში დაცვის მესამე ხაზი წარმოდგენილია შიდა აუდიტი ფუნქციით, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად, ობიექტურად და უზრუნველყოფს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასებას.

დაცვის მესამე ხაზის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს რისკების მართვის ჩარჩოსა და კონტროლების ეფექტიანობის შეფასებას, პირველი და მეორე ხაზის საქმიანობის დამოუკიდებელ აუდიტს, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეების იდენტიფიკაციას, რეკომენდაციების გაცემასა და შესრულების მონიტორინგს, აუდიტის შედეგების ანგარიშგებასა და სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენას.

მიკრობანკში დაცვის სამივე ხაზი მოქმედებს კოორდინირებულად, თუმცა დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით:

- დაცვის პირველი ხაზი არის რისკის მფლობელი და მართავს რისკს;
- მეორე ხაზი ადგენს წესებსა და აკონტროლებს მათ შესრულებას;
- მესამე ხაზი აფასებს და უზრუნველყოფს დამოუკიდებელ ანალიზს.

ინფორმაციის გაცვლა სამივე ხაზს შორის ხორციელდება რეგულარული ანგარიშგების, კომიტეტებისა და სხვა ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების მეშვეობით. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს მიკრობანკის რისკების მართვის სისტემის გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2025 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები რისკების კონტროლების და ფუნქციის გაძლიერების კუთხით

- 2025 წლის განმავლობაში ბანკმა განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს რისკების მართვის ჩარჩოს გაძლიერებას, შიდა კონტროლის ეფექტიანობის ზრდას და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
- გაუმჯობესდა საოპერაციო რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების მეთოდოლოგია, შემუშავდა RCSA სტანდარტი;
- გაძლიერდა კიბერრისკების მართვის მექანიზმები, მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლები, წვდომის მართვის სისტემები და ინციდენტებზე რეაგირების პროცესები;
- გაუმჯობესდა მონაცემთა ხარისხის მართვის პროცესები;
- გაძლიერდა რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა;
- გაძლიერდა საკრედიტო პორტფელის მონიტორინგისა და ადრეული გაფრთხილების მექანიზმები;
- განხორციელდა საკრედიტო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების სტანდარტიზაცია, ავტომატიზაცია და ცენტრალიზაცია;
- განახლდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მეთოდოლოგია და შესაბამისობაში მოვიდა საბანკო სტანდარტთან.

რისკების ეფექტიანი მართვის მიდგომა

რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით გამოიყენება სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომები, რომელიც მოიცავს:



3.1. ეთიკის კოდექსი (რისკის კულტურის კომუნიკაციის, შემცირებისა და აღსრულების საშუალება)

2025 წელს ემბისიმ განაახლა ეთიკის კოდექსი, რაც წარმოადგენს ჩვენი კორპორაციული მართვისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის კიდევ უფრო გაძლიერების მნიშვნელოვან ეტაპს. განახლებული კოდექსი უკეთ ასახავს თანამედროვე ბიზნეს გარემოს მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, ამავდროულად ამყარებს კომპანიის ძირითად ღირებულებებსა და ქცევის პრინციპებს. ეთიკის კოდექსი მოიცავს კომპანიის საქმიანობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან მიმართულებებს და განსაზღვრავს როგორც ზოგად ეთიკურ პრინციპებს, ისე ბანკის ურთიერთობის სტანდარტებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. დოკუმენტი არეგულირებს მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის წესებს, ასევე მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და ინფორმირების ვალდებულებას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე, პასუხისმგებლიან და ეთიკურ საბანკო საქმიანობას.

მხილება

ეთიკური და გამჭვირვალე ბიზნეს საქმიანობის მიზნით მიკრობანკში არსებობს მხილების სისტემა როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის. მხილების სისტემა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს ანონიმურად, ან ვინაობის გაზიარების გზით გააზიარონ არაეთიკური ბიზნესპრაქტიკის შესახებ, ასევე დააფიქსირონ ნებისმიერი აზრი, შეხედულება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

მხილების სისტემის მუშაობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- კონფიდენციალურობა და დაცულობა: კომპანია უზრუნველყოფს, რომ საჩივრის დაფიქსირების შემთხვევაში, მაქსიმალურად იყოს დაცული კონფიდენციალურობა და ანონიმურობა.

- სამართლიანი გამოძიების პროცესი: დროული და ზუსტი რეაგირებით, კომპანია უზრუნველყოფს მიუკერძოებელ და სამართლიან გამოძიების პროცესს და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.
- ეთიკურობა: მიკრობანკი ცდილობს შექმნას ისეთი კულტურა, სადაც ეთიკური ქცევა არის დაფასებული. გუნდის ის წევრები, მომხმარებლების, ა.შ. რომლებიც გამოთქვამენ საკუთარ აზრს, საჩივარს, პრეტენზიას ხელს უწყობენ კომპანიის ღირებულებების დაცვას, კანონისა და რეგულაციების შესაბამისობას და დაინტერესებული მხარეების ნდობის ზრდას.

4. კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები

ემბისის საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისაგან: პირველადი კაპიტალი, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: ძირითადი პირველადი კაპიტალი და დამატებითი პირველადი კაპიტალი და მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო კაპიტალი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მიკრობანკის მიმართ ბაზელ 3-ის შესაბამისად წაყენებული მინიმალური მოთხოვნები:

მინიმალური მოთხოვნები	2025	
პილარ 1-ის მოთხოვნები	თანხა (ლ)	კოეფიციენტი
ძირითადი პირველადი კაპიტალი	7,435,833	4.50%
პირველადი კაპიტალი	9,914,444	6.00%
საზედამხედველო კაპიტალი	13,219,258	8.00%
კომბინირებული ბუფერი	4,957,222	3.00%
კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	4,131,018	2.50%
კონტრციკლური ბუფერი	826,204	0.50%
სისტემური რისკის ბუფერი	-	0.00%
პილარ 2-ით განსაზღვრული მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე		
ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	18,613,223	11.26%
პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	22,065,102	13.35%
საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	26,650,533	16.13%

არსებული მაჩვენებლები (ლარში)	2025
ძირითადი პირველადი კაპიტალი	20,603,242
პირველადი კაპიტალი	27,812,472
საზედამხედველო კაპიტალი	29,910,123
რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები	165,240,731
საზედამხედველო კაპიტალის შეფარდება რისკის მიხედვით შენონილ პოზიციებთან	18.10%

ემბისი ყველა ბუფერის გათვალისწინებით ინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურობის მაღალ ოდენობას.

5. ანაზღაურების პოლიტიკა

ემბისიში დანერგილი ანაზღაურების სისტემა ეფუძნება გამჭვირვალობის, სამართლიანობის, თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და კონკურენტუნარიანობის პრინციპებს.

მიკრობანკი აქტიურად იკვლევს და ნერგავს მონინავე საერთაშორისო პრაქტიკებს, რათა უზრუნველყოს საკმარისი კვალიფიკაციის, შესაბამისი უნარებისა და გამოცდილების მქონე ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება, კონკურენტული ადამიანური კაპიტალის მართვის პოლიტიკის განვითარება, რისკების

მართვაზე ორიენტირებული პასუხისმგებლიანი ქცევის ნახალისება და ჯანსაღი კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

კომპანიის თანამშრომლების ანაზღაურების სისტემა, კვალიფიკაციასთან და დაკისრებულ ორგანიზაციულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოიცავს ფიქსირებული და ცვალებადი (დამატებითი) ანაზღაურების ფორმებს. ანაზღაურების სისტემა შესაბამისობაშია მიკრობანკის გრძელვადიან ბიზნესსტრატეგიასთან, რისკის კულტურასთან, რისკის აპეტიტთან, მიკრობანკის საქმიანობასთან, კონტროლის გარემოსა და კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებთან.

თანამშრომლის ფიქსირებული ანაზღაურება განისაზღვრება მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო ცვალებადი (დამატებითი) ანაზღაურება ეფუძნება თანამშრომლის ცვალებადი ანაზღაურების გამომუშავების პერიოდის საქმიანობის შედეგებს და განისაზღვრება დირექტორატის მიერ დამტკიცებული, წინასწარ შემუშავებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების მიხედვით, ცვალებადი ანაზღაურების მარეგულირებელი მიკრობანკის შიდა ინსტრუქციის შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, განეულ ძალისხმევასა და დროის რესურსს და მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს კომპანიის „ანაზღაურების პოლიტიკას“, რომლითაც განისაზღვრება მოქმედი ანაზღაურების სისტემა, მასთან დაკავშირებული კონტროლის ფუნქციები, ანაზღაურების ფორმები და სახელმძღვანელო პრინციპები.

დირექტორატი პასუხისმგებელია ანაზღაურების სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მის შესაბამისობაზე მიკრობანკის საქმიანობასთან, რისკის სტრატეგიასთან, მიზნებთან, ფასეულობებთან, კანონმდებლობასთან და საზედამხედველო მოთხოვნებთან.

„ანაზღაურების პოლიტიკით“ განსაზღვრული ანაზღაურების სისტემის ადმინისტრირებას, ცვლილებების დაგეგმვასა და ინიცირებას, მიკრობანკის ადამიანური რესურსების მართვის და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება უზრუნველყოფს.

შიდა აუდიტი, მიკრობანკის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ანაზღაურების სისტემის მართვის ეფექტურობისა და რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

შერჩევის პოლიტიკა

მიკრობანკში ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა შერჩევის პროცესი საქართველოს „შრომის კოდექსის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით წარიმართება და სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ემყარება. ტალანტების მოზიდვის პროცესში ემბისი უპირობოდ იცავს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, რაც უზრუნველყოფს შერჩევის სამართლიან, ობიექტურ და ინკლუზიურ პროცესს ყველა კანდიდატისთვის. შერჩევა ეფუძნება განათლების, პროფესიული კვალიფიკაციისა და კონკრეტული პოზიციის მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმებს.

ვაკანტური პოზიციების კვალიფიციური ტალანტებით დაკომპლექტების მიზნით, თანამშრომელთა შერჩევის წესს, ფორმებს, ეტაპებსა და გადაწყვეტილების მიღების ვადებს დეტალურად მიკრობანკის „ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა შერჩევის“ ინსტრუქცია აწესრიგებს.

კომპანიის ამოცანაა განვითარებაზე ორიენტირებული ტალანტების მოზიდვა და ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც თითოეული თანამშრომელი თავს იგრძნობს უსაფრთხოდ, მიღებულად და დაფასებულად.

ამ მიზნით, ემბისი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან, რეგულარულად მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში და აქტიურად ახორციელებს მიზნობრივ მარკეტინგულ კამპანიებს.

6. ორგანიზაციული კულტურა და ფასეულობები

ძლიერი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებისა და თანამშრომელთა უწყვეტი განვითარებისთვის, მიკრობანკის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა:

ჭადრაკის ჩემპიონატი

ემბისი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდური სულისკვეთების გაძლიერებასა და თანამშრომლებში ინტელექტუალური დასვენების კულტურის დამკვიდრებას. ამ მიზნით, 2025 წელს კომპანიაში ჩატარდა შიდა ჭადრაკის ჩემპიონატი. ტურნირის გამარჯვებული კომპანიის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

ჩოგბურთის ჩემპიონატი

4 მაისს, აფხაზეთის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციაში გაიმართა მიკრობანკის 2025 წლის მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი, რომელმაც თანამშრომლები სპორტულ და მეგობრულ გარემოში გააერთიანა. ტურნირი გამოირჩეოდა მაღალი ჩართულობითა და ჯანსაღი კონკურენციის სულისკვეთებით. შეჯიბრის შედეგად გამოვლინდნენ პირველი, მეორე და მესამე ადგილების გამარჯვებულები, ხოლო ფედერაციის მიერ დასახელდა ტურნირის რჩეული მოთამაშე.

ფეხბურთის ჩემპიონატი

მიკრობანკში გაიმართა შიდა საფეხბურთო ჩემპიონატი - „ემბისის თასი“, რომელშიც მონაწილეობდნენ მიკრობანკის თანამშრომლები თბილისიდან და რეგიონებიდან. ტურნირი გამოირჩეოდა მაღალი ჩართულობითა და გუნდური სულისკვეთებით. ჩემპიონატის შედეგად გამოვლინდნენ პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი გუნდები, ხოლო კაპიტნებისა და ორგანიზატორების კენჭისყრით დასახელდნენ საუკეთესო მოთამაშე და საუკეთესო მეკარე.

ბავშვთა დაცვის დღე ემბისიში

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, თანამშრომლების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, მოვიწვიეთ თამარ გაგოშიძე - ნეიროფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის დოქტორი და პროფესორი. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა თანამშრომლებში ბავშვთა განვითარების, აღზრდისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, ასევე პრაქტიკული ცოდნის გაზიარება, რომელიც დაეხმარება მათ როგორც პირად, ისე პროფესიულ ურთიერთობებში უფრო ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მიდგომების ჩამოყალიბებაში. შეხვედრის ფარგლებში თანამშრომლებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაესვათ მათთვის მნიშვნელოვანი კითხვები და მიეღოთ სპიკერისგან ამომწურავი და კვალიფიციური პასუხები.

Bookchallenge

23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ემბისიში ჩატარდა შიდა კამპანია #bookchallenge, რომლის მიზანი იყო თანამშრომლების წიგნების გაზიარებისა და კითხვის კულტურის წახალისება და ასევე, კამპანიაში მონაწილეობით მათი ჩართულობის ზრდა. კამპანიამ თანამშრომლების მაღალი ინტერესი გამოიწვია და შედეგად, დაახლოებით 50 წიგნი ახალ მფლობელებს გადაეცა.

MBC Talk

წარმოადგენს სალექციო შეხვედრების სერიას, რომლის მიზანია თანამშრომლებისთვის საინტერესო პიროვნებებისა და სხვადასხვა პროფესიული სფეროს წარმომადგენლების მოწვევა. შეხვედრები

გამოირჩევა არაფორმალური, თბილი და დინამიკური ატმოსფეროთი, რაც ხელს უწყობს მსმენელთა აქტიურ ჩართულობას, სპიკერთან დიალოგს, ცოდნის გაზიარებასა და სასიამოვნო განტვირთვას. MBC Talk ქმნის უნიკალურ სივრცეს როგორც პროფესიული განვითარებისთვის, ისე ინსპირაციის მიღებისა და ახალი იდეების გაცვლისთვის. 2025 წელს ამ მიმართულებით ძალიან საინტერესო და ინსპირაციული შეხვედრების ჩატარდა სხვადასხვა სფეროს ექსპერტებთან, როგორცაა: ზურა მხეიძე, თამარ გაგოშიძე, ლალი ბადრიძე, შოთა ჩინჩალაძე, ალექსანდრე ასათიანი.

ეს ინიციატივა სრულად შეესაბამება კომპანიის ფასეულობებს, რომლებიც მიმართულია თანამშრომელთა უწყვეტი ზრდისა და ძლიერი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებისკენ.

თიმბილდინგი და კორპორატიული საღამო

ემბისიში თიმბილდინგის აქტივობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამშრომლებს შორის ძლიერი პროფესიული და პიროვნული კავშირების ჩამოყალიბებაში, ურთიერთნდობის გაღრმავებასა და ერთიანი გუნდური კულტურის განვითარებაში.

2025 წელს აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდა მრავალფეროვანი ფორმატით როგორც გასვლითი, ისე შიდა აქტივობების ფარგლებში, რაც თანამშრომლებს მისცა შესაძლებლობა განსხვავებულ გარემოში უკეთ გაიცნოთ ერთმანეთი. თითოეული ინიციატივა აერთიანებდა გუნდს საერთო მიზნების ირგვლივ და ხელს უწყობდა მოტივაციის, ჩართულობისა და გუნდური კულტურის ზრდას.

გარდა ამისა, ტრადიციისამებრ გაიმართა კორპორატიული საღამო, რომელიც კიდევ უფრო ამყარებს გუნდურ ერთობას, ქმნის პოზიტიურ სამუშაო ატმოსფეროს და აძლიერებს თანამშრომელთა შორის კავშირს.

7. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები

ემბისიში კორპორაციული მდგრადობისა და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) საკითხების ეფექტური იმპლემენტაციის, ასევე მიკრობანკის გრძელვადიან ბიზნეს სტრატეგიასთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიის, შესაბამისი მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და მართვა, ისევე როგორც დაფინანსების პროცესში სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების ეფექტური მართვა, მიკრობანკის დირექტორატის კომპეტენციაში შედის.

ამასთან, კორპორაციულ მდგრადობასთან და ESG ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხების ყოველდღიურ მართვას უზრუნველყოფს საოპერაციო დეპარტამენტი, კერძოდ - ადამიანური კაპიტალის მართვისა და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება, რომელიც ანგარიშვალდებულია საოპერაციო დირექტორის წინაშე მდგრად განვითარებასა და ESG საკითხებთან დაკავშირებული მართვის პრინციპები და სტრუქტურა ასახულია ბანკის შიდა დოკუმენტებსა და მართვის პროცედურაში. აღნიშნული დოკუმენტების ჩამონათვალი მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ეთიკის კოდექსი, ESG პოლიტიკა, დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, ფინანსური დანაშაულის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რისკების მართვის პოლიტიკა და სხვა.

ფინანსური დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

2025 წელს მიკრობანკმა განაახლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კომპანიის შესაბამისობის ჩარჩოს და რისკების მართვის პრაქტიკას. განახლებული პოლიტიკა ასახავს მოქმედი რეგულაციების მოთხოვნებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას და თანამშრომელთა პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას აღნიშნული მიმართულებით. პოლიტიკა

პირდაპირ უკავშირდება მიკრობანკის კორპორაციული მდგრადობის პრინციპებს. კერძოდ, პასუხისმგებლიანი მმართველობის გაძლიერებას, რისკების ეფექტიან მართვასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ძლიერი შესაბამისობის სისტემა ხელს უწყობს ფინანსური დანაშაულის პრევენციას, ზრდის დაინტერესებული მხარეების ნდობას და უზრუნველყოფს კომპანიის გრძელვადიან მდგრადობასა და რეპუტაციული რისკების მინიმიზაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში. განახლებული შესაბამისობის ჩარჩო უზრუნველყოფს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას, ამყარებს შიდა კონტროლის მექანიზმებს და ქმნის საფუძველს მდგრადი, სანდო და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი საბანკო ინსტიტუტის ჩამოყალიბებისთვის.